



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49221754

თარიღი:24/06/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 70

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ „გაეროს განვითარების პროგრამის“ (UNDP) ერთობლივი პროგრამის - „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ (UNJP) ფარგლებში „ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის“ პროგრამის განხორციელებისთვის 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით გრანტის მიღებისა და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 20 ივნისის №48-482217148 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „გაეროს განვითარების პროგრამის“ (UNDP) ერთობლივი პროგრამის - „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ (UNJP) ფარგლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტს სურს გააფორმოს საგრანტო ხელშეკრულება „ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის“ პროგრამის განხორციელების მიზნით, რომლის ფარგლებშიც წყალტუბოს მუნიციპალიტეტს გამოეყოფა გრანტი - 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მე-100 მუხლის მე-5 და მე-7 ნაწილისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად :

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ „გაეროს განვითარების პროგრამის“ (UNDP) ერთობლივი პროგრამის - „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ (UNJP) ფარგლებში „ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის“ პროგრამის განხორციელებისთვის 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით გრანტის მიღებისა და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების თაობაზე.
2. ამ განკარგულების ძალაში შესვლის დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მიერ „გაეროს განვითარების პროგრამის“ (UNDP) ერთობლივი პროგრამის - „გენდერული თანასწორობისთვის საქართველოში“ (UNJP) ფარგლებში „მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის განხორციელებისთვის 50000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით გრანტის მიღებისა და საგრანტო ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის

თაობაზე“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N 34 (გ-49.49221196) განკარგულება.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს მუნიციპალიტეტის მერს.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

